



საპროცესო შეთანხმება, როგორც მართლმსაჯულების  
განხორციელების მექანიზმი სისხლის სამართლის პროცესში

თამარ ტყემელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი ტყეშელაშვილი, 30.06.2019

## აბსტრაქტი

საპროცესო შეთანხმება როგორც მართლმსაჯულების განხორციელების მექანიზმი და ბრალდებულსა და სახელმწიფო ბრალმდებელს (პროკურორს) შორის დადებული გარიგება, საქართველოსა და სხვა თანამედროვე ქვეყნების სამართლის სისტემათა სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, თუმცა თითოეული სახელმწიფო მისი გამოყენების განსხვავებულ წინაპირობებსა და საფუძვლებს ადგენს. იმდენად, რამდენადაც საქართველოში საპროცესო შეთანხმების გამოყენება მისი ამოქმედებიდან დღემდე წარმოშობს სხვადასხვა სახის მეტად მნიშვნელოვან პრობლემატურ საკითხს, წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით არსებული არსებითი და აქტუალური პრობლემები და ხარვეზები როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე.

მიზანი - კვლევის მიზანია, პირველ რიგში, საპროცესო შეთანხმების როგორც მართლმსაჯულების განხორციელების მექანიზმის სამართლებრივი ბუნების გაანალიზება და შემდგომ აღნიშნულის საფუძველზე მასთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული სამართლებრივი ხარვეზების გადაწყვეტის მეთოდების ჩამოყალიბება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

მეთოდოლოგია/მიდგომა - აქ იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და მოცემული საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო - აკადემიური წყაროების, სახელმძღვანელოების სიღრმისეული შესწავლა. ასევე პრობლემატურ ასპექტებთან მიმართებით უკვე ჩატარებული საინტერესო კვლევების მიმოხილვა და წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზი.

შედეგები - წინამდებარე ნაშრომში მიღწეული და გამოკვეთილი შედეგები, თავის მხრივ, მიუთითებს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული სამართლებრივი ხარვეზების ნაწილობრივი გადაჭრის საშუალებებზე და იძლევა განმარტებას კონკრეტულ შემთხვევებში მისი გამოყენების ან გამოუყენებლობის მიზანშეწონილობის, ასევე იმის თაობაზე, რამდენად სამართლიანი მართლმსაჯულება მიიღება საპროცესო შეთანხმების შედეგად.

სიახლე/ღირებულება - ნაშრომში განვითარებულია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როდის და რა პირობებში შეიძლება იყოს დარღვეული ბრალდებული პირის უფლებები მის მიმართ საპროცესო შეთანხმების გამოყენების შედეგად. რატომ არ უზრუნველყოფს კანონმდებლობა დაზარალებულის კანონიერ ინტერესთა დაცვას და რატომ რჩება მისი სამართლებრივი მდგომარეობა საპროცესო შეთანხმების მიღმა. ასევე, ჩამოყალიბებულია მოსაზრება სასამართლო დამოუკიდებლობის შეზღუდვასა და იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა დაწესდეს საკანონმდებლო დონეზე აკრძალვა საპროცესო შეთანხმების განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე გამოყენების თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საპროცესო შეთანხმება, ბრალდებული, პროკურორი, დაზარალებული, საჯარო ინტერესი.

## Abstract

Plea Bargain, considered as a mechanism for the execution of justice and the agreement/deal between the accused and the public prosecutor (prosecutor), is one of the most widely acclaimed legal institutions in Georgia and in the legal systems of other modern countries as well. However, each state establishes different conditions and grounds for its application. Since the relevant legislation came into force, the application of plea bargain have arisen various significant issues in Georgia, that is precisely why the focus of this paper is current important problems and shortcomings at the legislative and practical level of plea bargaining.

Purpose - The purpose of the study is to analyze the legal nature of a plea bargain and its role as a mechanism of justice. Based on the given analysis the paper subsequently aims to develop effective methods for effectively solving above mentioned legislative and practical shortcomings and to provide appropriate recommendations in this regard.

Methodology / Approach. Presented here is an in-depth study of the criminal procedure legislation of Georgia as well as scientific, academic sources and textbooks on this issue. Apart from that - an overview of previously conducted interesting studies in relation to problematic issues, and an analysis of the submitted reports.

Results - In this paper, the achieved results, in turn, indicate addresses the legislative or practical gaps related to the plea bargain. The study consequently addresses ways to tackle these issues partially and defines the reasonableness of its application in specific cases, as well as the fairness of the justice executed via a plea bargain.

Novelty / Value - The study includes a discussion regarding the following issues: When and in what type of conditions may the rights of the accused be violated as a result of the application of a plea bargain? Why the law does not provide protection of the victim's legitimate interests and why his/her legal status remains on the outer side of the plea bargain. There is also an established opinion regarding a limitation of a judicial independence that defines why a ban should be applied at the legislative level in terms of the application of a plea bargain in particularly serious crime cases.

Key search terms: plea bargain, accused, prosecutor, victim, public interest.